1915 | 6

ᲙᲐᲗᲮᲘᲡᲣᲠᲘ ᲘᲚᲚᲣᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 19 ᲔᲜᲙᲔᲜ. | ᲤᲐᲡᲘ 10 Კ. | № 38—1915

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲑᲔᲡᲘᲙᲘ ცᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ მეᲗᲕრᲛეᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ, ერეკლე II-ᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡ მეᲤᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐᲓᲐᲛ გაᲛᲔᲣᲤᲔᲣᲚი, ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ მეᲤᲔᲛ ᲓიᲓის ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ მიიღო; გაგზავნა ᲐᲮᲐᲚ ᲪᲘᲮᲔᲡ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜაც ᲑᲔᲡᲘᲙᲘᲡ ᲛᲐ 60-ᲓᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲗᲝᲚიკე გᲐᲓᲐიᲧᲕᲐᲜᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜაც ᲐᲥ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ გᲐᲐᲠᲯᲝᲡ. ᲑᲝᲚᲝ ᲮᲐᲡᲘ ᲑᲔᲙᲘ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲗᲐ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲐᲓ გაგზავნა ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲑᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲗᲔᲡᲝᲓ გᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲐᲮᲛᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲮ-ᲐᲛ.

ᲑᲔᲡᲘᲙᲘ—ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ გᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ (1742—93) ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲓᲐᲜ (Ზ. ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗ. ᲡᲢᲠᲐᲜᲓᲘᲡ ᲘᲡᲢ.“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 ენკენისთვე

როდემდის? ქართული თეატრისა და „ახალი კლუბის“ მესვეურთა ურთიერთ მიწერ-მოწერა კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, რომ ქართული სცენა უპატრონოდაა მიტოვებული, რომ ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა სათავეში უმეტესად პირადი შურით ატაცებული, მოქანცული ანუ ეროვნულად ბეცი ხალხი სდგას..

...ერთი ჯგუფი მეორეს ებრძვის, ქართული თეატრი და მისი ქურუმნი-კი — მრავალწამებული ქართველი მსახიობნი შუა იჭყლიტებიან...

ან როგორ შეიძლება იმათი იმედი ვიქონიოთ, რომელთა მარწმუნებელთა დიდი უმეტესობა მთელ ღამეებს ლოტოსა და ბაკარაშია ცხვირ-ჩარგული, დროთი დრო უგემური ოპერეტებით ერთობა, თავის ბედს სინემატოგრაფის ტილოზე კითხულობს, საკუთარ მეუღლს ჩასტირის და მთელი თვისი არსებით ქართველთა გადაგვარებას უწყობს ხელს...

სხვანაირადაც არ შეიძლება. როგორ იქნება ჩვენს წესზე ვაწირვინოთ იმათ, რომელთაც დედის ძუძუსთან ერთად უცხო კულტურით უსუნთქნიათ, უცხო ზნე-ჩვეულებანი შეუთვისნიათ და ქართველობისა მხოლოდ გვარიღა შერჩენიათ...

გულითაც რომ უნდოდეთ, არ შეუძლიანთ.

ეს რომ შესძლებოდათ, ქართული ხელოვნების ტრაპეზს, იმ ტრაპეზს, სადაც ჩაინთქა ქართველი მსახიობის მრავალ წელთა ნარუქი, და რომლის გვერდზედაც აღიზარდა „ახალი კლუბი“, ასე აბუჩად არ მოეპყრობოდენ, თუნდა დრამ. საზ-ის გამგეობას „შორსგამჭვრეტელობა“ ვერ გამოეჩინა...

მაგრამ ასე სჯობია! .. ამ გარემოებამ კიდევ ერთხელ ნათელ ჰყო, რომ საჭიროა დროით ვიზრუნოთ საკუთარი ეროვნული თეატრის ასაშენებლად, თორემ მუდამ კარდაკარ ხომ არ უნდა იწანწალოს ჩვენმა მელპომენამ და მისმა ქურუმმა, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი შეიტანა ქართველთა გათვითცნობიერებაში...

როდემდის, როდემდის უნდა შევყუროთ სხვას ხელში?!

მეფე და მისი მებაღე

(ძველი ზღაპარი *)

იყო და არა იყო რა, ღმერთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი დიდებული მეფე, რომელსაც ჰქონდა ერთი მშვენიერი წალკოტი—ბაღი.

მის ბაღში მიფრინდა ერთი ბულბული, ბუდე გაიკეთა და კვერცხები დასდო.

გულ-გახეთქილი მებაღე მივარდა მეფესთან და შესჩივლა მწუხარებით:

— დიდებულო მეფევ!...

— „რა იყო, შვილო?“

— ერთი ბულბული მოფრინდა შენს ბაღში, ვარდის რტოზე ბუდე გაიკეთა და კვერცხებიც დასდო!

— „არ შერჩება, შვილო, დამშვიდდი!“

როდესაც ბარტყები გამოჩეკა, კვალად მივიდა მებაღე და სევდიანად შესჩივლა მეფეს:

— დიდებულო მეფევ! ბარტყებიცა ჰყავს იმ ბულბულს.

— „არ შერჩება, შვილო, დამშვიდდი!“

მართლაც, არ გამოსულა დიდი დრო, ერთი გველი აცოცდა, ბუდეში რაც ბლარტები იყო, სულ გადაყლაპა. გაიქცა მებაღე მეფესთან და მოახსენა:

— დიდებულო მეფევ! როგორ მალე აღსრულდა შენი წინასწარმეტყველება!

— „როგორა, შვილო?“

— ის ბლარტები გველმა გადაუყლაპა! —

— „არც იმ გველს შერჩება!“

გაიარა რამოდენიმე დრომ და, როდესაც მებაღე ჰთიბავდა ბალახს, ის გველი სათიბელათი შუაზე გადასხიპა. მებაღე საჩქაროდ გაიქცა მეფესთან და მოახსენა:

— „დიდებულო მეფევ! როგორ მალე შესრულდა შენი წინასწართქმულება.

— „როგორა, შვილო!“

— ის გველი მე შემომესხიპა თიბის დროს სათიბელათი.

*) ეს ზღაპარი ამოგვიწერა თავისი ძველი კრებულიდან ერთმა ჩვენმა ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

† მ. გ. სავინა

რუსეთის სახელგანთქმული მსახიობქალი, 15 წლისამ დაიწყო სცენაზე მოღვაწეობა, საიმპ. თეატრში შევიდა და მალე რუსეთის სცენის მშვენება შეიქმნა. საქართველოშიაც რამდენჯერმე ყოფილა. გარდ. 8 ენკ. დაბადებიდან 62 წლისა.

— „არც შენ შეგრჩება!“

გაიარა ცოტა დრომ და მებაღეს რაღაცა უბედურება შეემთხვა, რისათვისაც იმავე მეფემ გადაუწყვიტა მას სიკვდილით დასჯა.

მებაღემ ითხოვა მეფის ნახვა პირადად

— დიდებულო მეფევ! ორი სიტყვა მომისმინე და შემდეგ აღსრულდეს შენი ნებაო.

— „აბა მითხარი, რაც გაქვს სათქმელი“.

— დიდებულო მეფევ: აი რა მინდა მოგახსენო: ბულბულს არ შერჩა, შენს წალკოტში ბუდე რომ გაიკეთა და შვილები გამოჩეკა; ბღარტები გველმა გადაუყლაპა და ის გველი ხომ მე შემომესხიპა.. ჩემი სიკვდილი, იცოდე მეფევ, არც შენ შეგრჩება. ქვეყნიერებაზე ეგრე მომდინარებულა, უსამართლოება საბოლოოდ არსად არ გამარჯვებულა და არავის შერჩენია!

დიდ გულისხმიერებას მიეცა მეფე და შემდეგ დიდის ფიქრისა ბრძანა: „გაანთავისუფლეთ ეგ მებაღე და მიჩუქებია მაგისათვის სიცოცხლე!“

რაკი მეფემ ბრძანა, განათავისუფლეს მებაღე.

მორწმუნე

მაყურებელი

ჩვენ შედარებით ბევრს ვწერთ თეატრზე, ხელოვნებაზე, მის მიმართულებაზე და სხვა.

და როდესაც ამებზე ვწერთ, უსათუოდ მხედველობაში გვყავს (უნდა გვყავდეს მაინც) მაყურებელი, მსმენელი, წამკითხველი. ერთის სიტყვით ის ადამიანი, რომელიც განიცდის ყურით თუ თვალით, გრძნობით თუ გონებით შენაქმს ხელოვნებისას.

ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ მე მგონია ძალიან ნაკლებ ვიცნობთ ჩვენს მკითხველებს, ჩვენს მსმენელებს და განსაკუთრებით ჩვენს მაყურებლებს.

მაყურებლები!

ვიცი, რომ ეს სიტყვა დღეს-დღეობით ცოტა სამარცხვინოა.

დღევანდელი კარგი თეატრი მაყურებლებს კი არა, მსმენლებს ითხოვს. მომსმენი სჭირდება.

მაყურებელს უკვე გაუჩნდა მისი საქმე— სინემატოგრაფი, იმიტომ, რომ ის, რაც მხოლოდ საყურებელი იყო ანუ უკეთ სანახავი თეატრში, სინემატოგრაფმა ჩამოართვა მას. ჩამოართვა და უკეთესის ხელოვნებით, უფრო ფართოთ მიაწოდა მაყურებელს. ტილოზე დახატულ მთების ნაცვლად მან უჩვენა პირდაპირ მონბლანი, კარდონზე მოჩუქურთმებულ სვეტების ნაცვლად—პირდაპირ აკროპოლისი.

მხოლოდ თეატრს ვერ წაართვა მისი მთავარი „სული ცხოველი“, ძალა ბგერათა, შემოქმედებისა, ძალა სიტყვისა. ამას ერთგვარი მსმენელი უნდა და ეს მსმენელი ჰყავს სხვაგან თეატრს, ხოლო ჩვენში თეატრი მოითხოვს ამ მსმენელს.

ჩვენ კი ჩვენ მიერ დაწუნებული მაყურებელი გვყავს.

მხოლოდ მაინც საჭიროა ვიცოდეთ ვინ არის ეს მაყურებელი? ვისგან შესდგება? რა წრისაგან?

როგორც ხედავთ, ეს ძალიან რთული საკითხია. რადგან ეს უკვე შეეხება მთელ საქართველოს, მისი კულტურულ განვითარების ავლა-დიდებას, მისი განათლების საზომს.

და თუ ამას გავიგებთ კულტურის რომელ საფეხურზედა დგას დღეს საქართველო, იმ კულტურის, რომელიც სწამს ან სწამდა მაინც აქამომდე კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს! თუ ამას გავიგებთ, მაშინ ზემო-მოყვანილ კითხვაზედაც პასუხი მზად გვექმნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სადა გვაქვს ამის სტატისტიკა? აქ ჩვენი სკოლებისა და მათი რაოდენობის ჩამოთვლაც ვერ გვიშველის.

აქ უნდა მიღებულ იქმნას მხედველობაში, როგორც ეს სკოლები და იქ მოსწავლენი, აგრეთვე რუსეთისა და საზღვარ-გარეთის უმაღლეს სასწავლებელში მყოფნი, მათი ყოველ-წლიური კადრი, ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, წიგნის გამომცემლობა, თეატრები, კულტურული დაწესებულებანი და... გათავდა. შეიძლება დამავიწყდა რამ, მაგრამ სხვა ბევრი აღარაფერი უნდა იყოს, სამწუხაროდ, ჩამოსათვლელი.

და აი ყველა ამათი სურათიც რომ გვქონდეს მაინც, მე მგონი, სინამდვილეს ვერ გავითვალისწინებთ. ეს იქმნება მხოლოდ დაახლოვებითი.

დაახლოვებითად კი, მე მგონი, ყველა შეგნებულ ქართველს შეუძლიან თამამად სთქვას, რომ ჩვენი კულტურული საფეხური არაა მაინცადამაინც მაღალი.

მაშასადამე ამ საფეხურისა გვყავს თეატრის მაყურებელიც და როგორც სხვა სფეროში, ისე ამ მაყურებელთ შორისაც უმეტესობა მხოლოდ ისეთია, რომელსაც ეხოლოდ წერა-კითხვა აქვს შესწავლილი ე. ი. ისეთი წერა კითხვა, რომ შეუძლიან დასწეროს კორესპონდენციაც კი, შეიძლება ლექი, თუნდა დრამაც, მაგრამ მკოდნენი კი არა გვყავს (უმეტესობაში რასაკვირველია). აი ისინი, ვისაც რუსები грамотный-ს ეძახიან, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

მუშები, ნოქრები, იქა-აქ გლეხობა (განსაკუთრებით სოფლად), წერილ მოხელეობა, წვრილივე მრეწველ-მოვაჭრეები, ბოგანო ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზდობა.

აი ჩვენი აუდიტორია.

ცოტა უფრო ხორც-შესხმული ვაჭრობა, საზოგადო თუ სახელმწიფო სამსახურში ცოტა დიდ ადგილზე მყოფი ინტელიგენტები, თავად-აზნაურობის ჯერ კიდევ გაუპირვებელი ნაწილი — ესენი ხომ, როგორც ვიცით, არა სწყალობენ ქართულ თეატრს.

ესენი უფრო „საპარადოთ“ გამოიფინებიან ხოლმე: იუბილეებში, ბენეფისებშიაც ზოგჯერ და კიდევ რამ ესეთ „მიუცლელებელ“ საღამო-წარმოდგენებზე.

მთლად გადაგვარებულებს ხომ სრულიად არ ვანგარიშობ, რომელთაც ხეირიანად არც კი იციან გვაქვს ქართულს ენაზე ლიტერატურა და თეატრი თუ არა.

და აი, როგორც არა ერთხელ უთქვამთ, ხალხი, მისი უფრო შეგნებული ნაწილი დადის თეატრში, ის აპურებს ჩვენს სცენას.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ მაყურებელთა შორისაც მოიპოვებიან სრულიად მომზადებულნი პიროვნებანი, მაგრამ უმეტესობა კი გემოვნება განუვითარებელია, გრძნობა „შეუთამაშებელი“. ამიტომ მისი მოთხოვნილება თითქო პრიმიტიულია, მისი განცდა არა რთული, მაგრამ სწორედ აქ ხდება სასწაული: კარგად დადგმული, კარგად წარმოდგენილი პიესა, თუნდაც რთული იყოს მისი შინაარსი, მაღალ-ფარდოვანი მისი მეტყველება, მაინც აკმაყოფილებს ამ მაყურებელს და ეს არის კიდეც სანუგეშო.

ეს, ჩემის ფიქრით, მისი ზრდის მაჩვენებელია, მისი განვითარების დაწყებისა.

ხოლო როგორ ეტევევა იგი ამ თეატრს! ეს განსაკუთრებით უნდა ნახოთ პროვინციაში, ორშაურიანი, შაურიანი ბილეთი არასოდეს არა რჩება გაუყიდველი. ეს იმის მოსასწავებელია, რომ მას სწყურია ცოდნის შეძენა. იგი იხრჩვება უცოდინარობაში და აი, სხვათა შორის, ეტანება თეატრსაც. გასავალი უნდა მოუძებნოს თავის საკეთილო ენერგიას.

შეიძლება ზოგიერთმა სთქვას — სად ცოდნა, სად თეატრი!

მაგრამ მე თეატრს არ მინდა ჩამოვაშორო არც ერთი მისი თვისება, რომელიც კი მას ახლავს.

მე მინდა, როგორც არა ერთხელ მითქვამს — თეატრი იყოს ერთსა და იმავე დროს სკოლაც, ტაძარიც და სარკეც

და მადლობა ღმერთს, რომ ჩვენში ვერ გაიმარჯვა ფრანგულმა შეხედულებამ — თეატრი „გასართობი დაწესებულებაა, ინტელიგენტ-ბურჟუას აშლილ ნერვების დამშშვიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი, ნელიად მოდიტინე, ტკბილი ღიმილის მომგვრელიო.

სწორედ ეგ ხალხი, ჩვენი ხალხი თითქო ინსტიქტიურად გრძნობს თეატრის მაღალ-კულტურულ მნიშვნელობას და აკი მიტომ ეპყრობა სათანადო მოკრძალებით, მიტომ ეტანება ეგრე ხალისით.

ჩემის დაკვირვებით ნაკლებ შემიმჩნევია ამ ხალხში სასეირო მოსულები და თუ შემიმჩნევია—სულ სხვა ჯერისა, სხვა ელემენტების.

ამიტომაც ჩვენი თეატრი სწორედ ის დაწესებულება უნდა იყოს, რომელიც თავს უყრის ეგრე ჰარმონიულად ყველა სხვა ხელოვნების დარგს—მხატვრობას, ქანდაკებას, მუსიკას, პლასტიკას, ხელოვნურ სიტყვას და თან უნდა იყვეს მწვრთნელი და ამამღლებელი გონებისა და გრძნობისა. ერთის სიტყვით ჩვენი თეატრი უნდა იყოს თეატრი ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით და სხვა არა რა. ესეთი მდგომარეობა კი, მე მკონი, სრულიად არ ამცირებს თეატრის მნიშვნელობას არც საზოგადოთ და არც ჩვენთვის საკუთრად.

ხოლო თუ ესეთი იქმნება ჩვენი ოპერა, მაშინ ნახეთ როგორ გაიზარდოს ჩვენი მაყურებელიც და როგორ ღირსი შეიქმნეს იმ საამაყო სახელ-წოდებისა, რომელიც დღეს თითქო სამარცხვინოდ არის მიჩნეული.

მე ეხლა ვამბობ სიტყვა „მაყურებელზე". ჩვენ როდესაც ამ სიტყვას ვკლავთ და მსმენელი გვინდა მოვათრიოთ, მგონია რომ რუსულად ვაზროვნებთ. „Зритель" (მაცქერალი) და „Слушатель" (მსმენელი).

რაღა თქმა უნდა „зритель"-ები (მაცქერალნი) არ გვინდა, ან როგორც ზევით წამომცდა—სასეიროდ მოსულნი, სეირის ხალხი. აკი ამ გვარ ხალხს სეირისას გაუნდა-მეთქი თავისი საქმე სინემატოგრაფი, თუმცა იქ სიტყვა მაყურებელი შევიტანე, მაგრამ ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ თვით სინემატოგრაფიც არ მიმიჩნია სასეირო რამედ: იმასაც თავისი მაყურებელი სჭირდება. რა ვუყოთ, რომ დღეს სინემატოგრაფში უფრო სასეიროდ დაიარებიან. საქმე თვით საგნის გამოყენებაა, როგორ მოიხმარ, თორემ ევროპიელებმა ზოგან თვით თეატრიც კინადამ სასეიროდ აქციეს, ხომ არსებობს ლიტერატურაც „ბულვარული".

მაშასადამე ჩვენ უფრო რუსული „Слушатель" (მსმენელი) გვეპრიანება ჩვენი თეატრისათვის, ე. ი. ისეთი კაცი, რომელმაც გაგვიგოს. მხოლოდ ერთი ამბავია—მარტო მსმენელიც არ უნდა გვსურდეს, თორემ მარტო შეგნებულ მსმენელს, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნება ძალიან უყვარს, ხომ მარტო ლექციებიც დაკმაყოფილებს.

ჩვენ სწორედ ის გვინდა, რაც ასე სხარტათ გამოუთქვამს ჩვენს ხალხს ერთს სიტყვაში—მაყურებელი.

ყურება, როგორც ვიცით, იხმარება ცქერის ალაგასაც, მაგრამ ხომ გრძნობთ, რომ ამ სიტყვაში სასმენელ ორგანოსაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი. მაშასადამე ქართველი მაყურებელი თვალით რომ განიცდის, იმავ დროს ყურით ისმენს და ჩვენც სწორედ ეგეთი მომსვლელი გვინდა თეატრში: თვალით ნახოს და გრძნობა შეუთამაშდეს, ყურით ისმინოს და გონებამ მუშაობა უწყოს.

მაშ დავსტოვოთ ჩვენი „მაყურებელი" და ჩვენი თეატრის ამაღლებით ვეცადნეთ მისი თვალის გახელას (გრძნობის გამრავალფეურებას) მისი ყურის სიმახვილეს (გონების განვითარებას).

[signature]

გოგოთური და აფშინა

(გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 37)

დ) **გოგოთურის უალრესი კაცთმოყვარეობა.** გოგოთური ტაბაური წარმომადგენელია ამ ქართველ მთიელთა, რომელთაც მტერთა შებრძოლებაც-კი ცხოვრების დრამაზე ეწერათ. გოგოთური დარბაისელი ადამიანია, დიდ ბუნებაგანია, რჩეული კაცია... მან ეს დაამტკიცა აფშინასთან შეხვედრის ჟამს. აფშინა უმბრეულს მას იარაღის ხერს. გოგოთური ფიქრობს საწყალ ეზვეთოს, ეხვეწოს, თავი იმდაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდოს, რათა შეიტეოს, თუ რას უზამს ნაცვდადა... გოგოთური ეეკედრება:

„თუ მართლა აფშინაი ხარ,
იარაღთ რადა მყრი ძმისაო,
უიარაღო გამიშო,
ხათრი არა გაქვს ღვთისაო?!
სუ, თუ ღმერთი გწამს, აფშინავ,
სირცხვილს ნუ მაქმევ, ძმობასა,
ქუდ-მოხდილს ქვეყნად ნუ მავლებ,
პირში ნუ მიმცემ გმობასა.
კაცი ხარ სახელოვანი,
რად მიწევ აგრე მტრობასა?!

მაგრამ ეკრა კაჩეყო რა გოგოთურმა, აფშინამ არ შეისმინა მისი ხვეწნა და წაართვა იარადი და ცხენი... ახლა კი ეკედარ მოითმინა და, კაცს სიტყვით:

„ხელი გაავლო აფშინას,
დადვა, დაბეგვა ძალიან,
გადაფითრებულს აფშინას
სატირლად აღარ სცალიან,
მაგრა შაკონა ბეჩავი,
ისე დაადგო გზაზედა“...

გოგოთურმა თავის მხრით წაართვა ფარი, ჩაჩქანი, ხმალი და ცხენი...

შეკრული აფშინა კუდის ხმაში ჩაყარდა და თითქოს შეინანა თავისი შეცოდება. მეტი რაღა გზა ჰქონდა? ეუბნება გოგოთურს:

„გაქებდენ, კარგი ყოფილხარ,
კარგი გქონია მარჯვენა,
ფიც-ვერცხლი ესკამოთ, გოგოთურ,
ჩემნი იარაღნი მომცენა.
მრცხვენიან, ამას რომ ვამბობ,
მიძმე და მომეც ამჯარი,
თუ არა, ბევრად მირჩევნავ,
რო გულში ჩამცე ხანჯარი“.

აფშინა ეხვეწება გოგოთურს დასდგან ძმობის ფიცი ისე, როგორც ეს წესი იყო მთიელთა შორის. შორდაც გოგოთურმა კაინთავისუფლა აფშინა და სიკვდილის ხიტვაღად დაუბრუნა ეიაღი. ამთ კაძარეულ ნადიმი, დაიწყეს ბრეის სმა, დადგეს ერთმანეთი და შეკრეს ერთმანეთისა ძმობა შეფიცეს ანუ ფიცა-ვერცხლი სჭამეს.

„აფშინამ ხანჯრის ბუნისა (ტარისა)
ვერცხლი არაყში ჩათალა,
ორთავე დალიეს ერთადა,
ორთავემ ყანწი დასცალა,
იფიცნეს, ახლა ძმანია,
ვით ერთი დედის შვილები...
ახლა უმღერეს ზედაცა
ერთურთს სიმღერა ტკბილები,
მერე წავიდნენ ცალ-ცაკვე
თავთავის გზაზე გმირები.“

რა მომხიბლავი სურათია ეოფიდი ტრეების ერთობისა! რა ხასიათის კეთილშობილებითაა დაკიდდოებული გოგოთური! კურთხეულ იეოს ის მიწა, სადაც ის იშვა ქებულ-დადებული ის დედა, რომლის ძუძუსაც სწოვდა... ადარ გსურთ გონებიდან-კანიშოროთ გოგოთურის ზნეობრივი მომზადეკედობა და მზად ხართ ატარეთ მისი სახე კუბის ფიტრომდის... სანამ წანართმეკს დაუბრუნებდა აფშინას, გოგოთურმა კაჭკეტხ აკი ამის კამა, რომ თავის სხეულის სიძლიერეს ის ხმარობს ძმის დასჩაგრავად, რომ დადის ტეფ გზით და მიო ირეხვენს კმირის სახელს... აფშინამ არ იცის და ან კანძრახ არ უნდა იცოდეს კმირის ნამდვილი საგანი, მისი სანატრიონი... გოგოთური ეუბნება კონზე მოსულს აფშინას:

„რას დაძრწი, რას დაეთრევი,
შე უნამუსო ფიფხერა,
რო წისქვილებში მსუნაგი,
ქურდი, ქოფაკი, შავ-ყურა?
გშიოდა, რატუ არ მითხარ,
გაკმეკდი, გაგაძღებდია..
შენ გიკარცვია, ვინაცა
საბარალო არის ბეჩავი,
თვის დღეში ომ-უნახველი,
დიაცთ ნალახის მხვეტავი...“

გოგოთურს ხირეხვიდად მიაჩნია ატარებდეს მცარცავი კმირის იარაღს... აფშინას ეუბნება:

„მე შენ იარაღნი რად მინდან,
სიმრუდის გზაზე ნავალი?

სუდგრძელი კმირი აძლევს აფშინას ეეკეფერს, რაც წაართვა და თანაც შებოჭავს მას ძლიერ და სიშაში ფიცით:

„აჰა ამჯარი, ცხენიცა,
წადი, მშვიდობით ვლიდია;
სადაც შენი სთქვა ბიკობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი დღე

(გაგრძელება. ს. „თ. და ც." № 37)

ეგ. (მიუშვერს ჭიქას) **და** რადგანაც, ქალბატონო სალომე, პროლონისთვის მხოლოდ მარტო „პრასტოია" წერილებით გიგზავნიათ, თქვენი მანეთიც ჩამოაგდეთ ჯ.

სალ. (დოვაზე ხელს შემოაკრავს) უი ქა! ეს რა მომივიდა! (ჩასდების მანეთს)

კოტე. და რადგანაც, ბატონებო, სალომემაც გვიღალატა, ფულები ისევ ბატონ კოტეტს გადაეცეს გასაგზავნად, როგორც მასპინძელს და გამოცდილ ფოსტალიონს. (ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშს თავს დაანებებენ და სუფრასთან მიგდენ ეგედანი. გაოცებული არიან. შესტქერიან ანდოდონს და კოტეს და ვერ მიმხვდარან რა მოხდა)

ეგნ. (გაოცებული) რა ამბავია, ბატონებო! რა მოხდა?

აპოლ. (აღელვებული კაზეთს მიუშვერს) აი, ბატონო ეგნატე, ამ გაზეთის რედაქტორი ეს ბრძანდება. (კოტეზე უჩვენებს) და წაიკითხეთ რა მარგალიტებია მოთავსებული ამ გაზეთში ჩემს შესახებ. ვიღაც სალახანა კიკოლიკა თავზე ლაფს მასხავს. მე ვთხოვ ბატონ კოტეს შემატყობინოს ვინ ბრძანდება ეს კიკოლიკა, რომ შესაფერი პასუხი გავსცე. (ეგნატეს გამოართმევს კაზეთს და ათვალიერებს. დანარჩენები ამშვიდებენ აპოდონს და კოტეს. სადომე შიშით შესტქერის აპოდონს და ვერ კაუბედნიერებს რამე უთხრას)

კოტე. თუ პასუხის გაცემა გინდათ, ბატონო აპოლონ, გაეცით. განა ვინ გეტყვით უარს, გნებავთ ნახევარ გაზეთს დ გითმობთ. ამისთვის რა საჭიროა იცოდეთ ავტორის ვინაობა?

აპოლ. (მეტი აღელვებული) იმის პასუხის საჯოდაბნავად მცალია?! მე ვიცი როგორ პასუხს გავცემ მას. გამომდგარა ვიღაც ოხერი და იდეის ღალატს მწამებს?!! (გიორგის) განა რა ვსთქვი ისეთი გიორგი?

გიორ. (ყოყმანობს) არაფერი, საიმისო არაფერი გითქვამს.

სალ. (წამოდგება და ეზეკვა) დამშვიდდი, შვილო, სირცხვილია!

აპოლ. (ძალით მოაშორებს) მომშორდი თავიდან, რა შენი საქმეა. (წინ წაწევს. კოტეს) თქვენ უთუოდ უნდა მითხრათ ვინ არის ის ვაჟბატონი?

კოტე (შეკავებულ) ეგ მე არ შემიძლია ეგ ჩემი ზნეობის წინააღმდეგი იქნება.

აპოლ. ის კი ზნეობა არის, რომ ასე გამლანძღეს თქვენ გაზეთში?! განა რა ვსთქვი ისეთი?!

კოტე (დამშვიდებით) ჩემო აპოლონ, შეუცდომელი რომის პაპი არ არის, ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებაო, ხომ გაგიგონიათ, შეიძლება თქვენც მოგვიდათ რაიმე შეცდომა, ეს გასაკვირალი არ არის.

აპოლ. (შეტად აღელვებული) მაშ თქვენც იმ წერილის აზრისა ხართ?

კოტე (შეკავებულ) ცხადია, რაკი ჩემს გაზეთში მოვათავსე, თუ მთლად არა, ნაწილში მაინც.

აპოლ. (ცხენებს, მუშტებს იქნევს, ყვირის) მაშ თქვენი ყოფილა ის წერილი, თქვენნა?? (მიიწევს)

კოტე (ამაყად) თუნდაც ასე იყოს. ყოველ შემთხვევაში პასუხისმგებელი მე ვარ.

აპოლ. (ყვირის) მაშ თქვენა ხართ, თქვენნა?! (უცებ კალმახტებს სტოდადან და ეცემა კოტეს თმაში, ყველანი კაშეშდებიან, ისე მოუდოდნელად მოხდება ყველაფერი. კამოთრევს და უმოწყალოდ სცემენ ერთმანეთს. ყველაფერი აირევა-დაირევა. ქალები წაიკნენ, სანამ კუდი წაუვა და თაბრა და შეაღანო ოთახში კიეკვანენ. სადომე სერთუკის კალთაში ებღაუჭება აპოდონს და კარებისკენ ეწევა. სერთუკის ნახევარი კალთა მოეხევა და სადომე ალეცემა. ფიცხდება წამოხტება, საშინლად იდრეკება და კოკეფობით ისევ დაებღაუჭება აპოდონს. დანარჩენები აშეშდებენ. კაშეშდების დროს ეგნატე წაიქცევა, საშინლად კაბრაზდება და ყვირის, ბოდოს როგორც იქნება კაშეშდენენ. აპოდონ კარებისკენ მიეკვეს სადომეს, დანარჩენები კოტეს ამშვიდებენ)

კოტე (ბრაზი ხარჩობს. მუშტს ქნევით) დამ ცა შე ფუპაკო, შე ალალახანავ, იქ გამეცემ პასუხს, დ მბაჩით ხელში, იქ, ტრიალ მინდორზე.

აპოლ. (შწარე დიმიდით) მობრძანდი, მობრძანდი, თუ გინდ ზარბაზნით, მზათ ვარ, მზად! შე რეტიანო!

სალ. (ეზეკვა კარებისაკენ) წავიდეთ, შვილო, წავიდეთ!

ეგნ. (მიაყრის ქუდს, პალტოს და ჯახს. ყვირის) დაიკარგე, დაიკარგე შე მხეკო, გაუზრდელო. ოჯახი შემირცხვინე, თავზე ლაფი დამასხი! დაიკარგე! ალარ გიხილოს ჩემმა თვალებმა.

აპოლ. (მობრუნდება და ყვირის) შენც შეგარცხვინოს და შენი ოჯახიც. (კედეკ რადგან ყვირის, მაკრამ სადომეს ძალით კაგიყვანს)

ფ ა რ დ ა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჩხუმის წინამძღოლი

ბოდორნდელი წინანდელი

† თავ. **იასონ დავ. გელოვანი**

(ორმოცის შესრულების გამო)

ჩემს გამზრდელს—იასონ გელოვანს

ნუგეშად მყავდი დღემდე ცოცხალი,
აწ დამრჩა შენი ცივი ს მარი,
დღემდე ვამბობდი შენს სადღეგრძელოს,
ეხლა დავიწყე შესხმდობარი!
ჩემს ღაწვზე ცრემლი არვის უნახავს,
გულს წვეთდა თვალით დაბრუნებული,
მხოლოდ მას შემდეგ ვსტირი ყველას წინ,
რაც შენ წვალებით დალიე სული!
ვით არ ვიტირო! ჩემის ცხოვრების
იყავ საუნჯე და განძი დიდი,
შენ მიმშვენებდი სიყმაწვილის წლებს,
იმედებს ჩემსას თან და თან ზრდიდი!
შენ იყავ ჩემი სულის მშვიდობა,
სიყვარულის და სიკეთის წყარო,
სამღვთო სიტყვები: „დედა და მამა“,
შენთან დავმარხე, დაუვიწყარო!..

რ. ლ. ჩხუმელი

ორმოცი დღის წინად, 12 აგვისტოს ქუთაისში კარდიაკვადა დეჩხუმის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი იასონ დავითის ძე გელოვანი. განსვენებულს მსხდის კოფეტქონის დროს პატარა დანით ხელი გაეჭრა და სისხლის მოწამვლის გამო პატარა ჭრილობის მსხვერპლად გახდა. იასონი 70 წლის მიღწეული მოხუცი იყო, მაგრამ უკანასკნელ დღემდე მხნე და ჯანსაღი. როცა მის ცხედართან გულდათუთქული სტირდა, მისმა ამხანაგმა თავადმა დიმიტრი უოფეანმა ქვითინით უთხრა: „მომჯადოებული ადამიანი დაგეკარგე, უსწავლელი იყავ, მაგრამ შენის საუბრით ნასწავლებს ჭიბიდადგდი, დარბი იყავ, მაგრამ მდიდრების შუაში მდიდარი ეგონე, რაჯა-დეჩხუმს არ გასცილებიხარ, მაგრამ ამის არც ერთი შენი მნახველი არ დაიჯერებდა.“

მართლაც განსვენებული ერთად თავისებური კაცი იყო. მისებური მომხიბლავი იშვიათად თუ ვისშეს ჯიდდოების ბუნება. ერთად მომზიდველს კარეგნული შეხედულობით და ფრიად ტკბილს მოსაუბრეს შეუდარებელი ხსოვნაც ქონდა. იგი პირდაპირ წყაროა იყო ჩვენს დიტერატურაში ჯერედ შენობი, მაგრამ ისე კი ჩვენში მრავალად განპენულ იგავ არაკების და მოსწრებული სიტყვებისა. კრებაზე თუ კერძო საუბრის დროს მას მოგვყავდა ანურებული შედარება ამ იგავ-არ კებისა და მოსწრებული სიტყვებიდან, და მუდამ ისე საინტერესო, რომ მსმენელი მოხიბლული რჩებოდა. ზედმეწევნით ქონდა შესწავლილი სიდმრთო წერილი და საერთოდ ჩვენი ძველი მწერლობა. ბევრი მისი უნახობი არც კი დაიჯერებს, რომ განსვენებულმა ბიბლიის ერთად ბევრი ადგილი, მოედი სასურვა, დავითის ფსალმუნი, ეკეფხის ტყაოსანი, მაურავიანი, ჩახრუხაძისა, შავოედის, არჩილის და მეფე ოთმუარაზის ნაწერები მთლად ზეპირად იცოდა. როგორც თითონ ამბობდა, მსმენელ



ჯარის-კაცი
ივ. ზ. იმედაშვილი
ტყვედ წაყვანილი გერმანიის ფრონტზე.

ჯარის-კაცი
პ. თ. ლობჯანიძე
გერმანიის ფრონტზე
დაჭრილი 9 აგვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაგდებული მას არა დრო არა ჭიოდა, წიკხილ კითხვა თუმცა უკვირდა და მოული თავისი ცოდნა აქვდან კამოტანა.

ჩვენში რომ დიდკაცებს უძახიან, ამ ბიდა ხანებში ასონი მან შორის ერთი პირველთა-კანი იო, და ყველას ვინც კი რაიმეზე მიმართავდა, დაუხარებად შეიდოდა. ისე უირადო და თავაზიანი შეხვედრა იცოდა, რომ მასთან არას დროს კაცი თავს უხერხულ მდგომარეობაში არ იგრძნობდა და კული ეოველთვის მიიწვევდა მას წინაშე კადასმელად. როგორც თავადი, იგი თავის ინტერესებს არ დაკარტობდა, მაგრამ კლეხებთან შედამ ჭკვიანური, წინ დახედული დამოკიდებულება ქონდა. ბატონ-ყმობის კაუქმების შემდეგ დარჩენილი დროებითი ვალდებულება მას კლეხების მტრად აკიდებად მიანნდა. ამიტომ ეშმბილაჯეს ნაწილი მიწებისა მიიდო და, ორიოდეს კარდა, ამ თავიდან კანთავისუფლდა. 1905 წ. კანმოთავისუფლებელმა მოძრაობამ ასონის უფრო ისი, 28 წლის ვაჟი შამშე შეიწირა. იგი, როგორც პირველი მსხვერპლი, ხალხის დიდის ამბით დაიტირა და დასაბარა. ეს კარე მოებაც ერთგვარ შემაერთებელ ხიდად დარჩა ასონის და კლეხების შორის. საერთოდ ასონთან კლეხები ამლენად დამშეი იყვნენ, რომ ზბიარად უბრალო, მსხდის ფასად სალიარად რამეზე წაიყვანდენ და მთელ დაწესებულებებს ჩამოარონინებდენ. თუ კი ერთხელვე რაიმე საქმეს თავს კამოიდებდა, შემდეგ ამის რათიც უნდა დასკდომოდა, კიიტანდა. ბეერს კუკვიარდება კიდეც, იქნება ერც კი დაიკერონ, მაგრამ მე მაინც ვამბობ სრულ ჭეშმარიტებას, რომ მოელს დეჩხეშში ქვეკა ხვანეთთან არ იქნებოდა სულ 50 კლეხი, რომ ასონს არ იცნობდა. დიდი უმეტესობის იცოდა სახლი და ოჯახური მდგომარეობაც. ხშირად ერთი წლის შემდეგ კიიგებდა, რომ რომელიმე კლეხს ვინმე მოუკვდა, უთოდ მოინახულებდა ჯარისეფალს და რითიმე ანუგეშებდა. რანაირად მიანნდა იგი კლეხებს, მკითხველი კიიგებს შემდეგიდან: ერთი თავისი მამული, ეკრედ წოდებული „ეფეშა“, მან თავის სიცოხლეშივე მისცა შვილსა და რძალს. ამ უკანასკნელთა სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მამულში მომუშავე კლეხებს ერთობ ნდობით და კარგად ეპყრობიან, ზოგჯერ ასონი სეეველურობდა კიდეც ამის კამო. კლეხები ახალგაზრდა-ნები ბრაენ, თავადების ანთვრად მოეკრეულნი და ჩემი კარგი მეგობრები. ეოველთვის რაც ვკითხავდი: „ასონთან კერჩიანთ თუ შეიდოთ კერჩეენიანთ თქო“ მაპასუხებდენ: „ასონის ხელში ვვერრია, მაშ ნ ჯობდაო“. რომ კლეხებს კანსეენებული ასონი ეეკრედთ, იქიდანაც ჩანს, რომ მის კუბოსთან 3000 კლეხზე მეტმა მოიკარა თავი და ერთიც არ დარჩენილა რომ არ ეტირა.

ეკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მაინც ასონი ძალიან თავდეურს ადეენებდა და ძალიან დაინტერესებული იო ჩვენებური სახალკდო სკმეებით. თავად-ახნაურობის თუ სხვა კრებებს ქუთაისში არ აკდებდენ და ეოველთვის დიდ ეურადღებას იქცეკდა თავისი მიეკოთდობით და შეკარებით სიი ბესკდობით. როგორც ზეეთა ვსთქვი (ძველი დროის კაცი იო, კლასიკური ტიდნა მას არ ქონდა, მაგრამ სასამდროო კითხვებზე ისეთ სიუბარს დაკეწეებდთ, რომ ადეტეტებში მოხვიდოდით. კვეკეენა და ნაცნობობა ჩვენებური კაცის პირობაზე ასონს დიდი ჭქონდა, მაგრამ შეკირა კაცი არ იო და ეს ნაკლებად ჩანდა. მას მეგობრობდა, სხვათა შორის, ბრინეი ოდდენბურგელი, რომელმაც ამ ბიდის კეკკასიის ფრონტიანთვის 5 სანატარული ტრანსპორტის შედეგნა მიანდო ო. ასონს.

ეკნსკენებული თავად-ახნაურთა წინაშედგდ თითქმის 20 წ. მსახურეობა. როგორც ეკეკას მოეხსენება, სამხედრო სკრებულობაში, სადაც თავად-ახნაურთა წინაშედგდნი თავმჯდომარეობენ ჯარის კეტების სამხედრო მეგარაზე გაწეკეკის დროს, დიდი ცოდეები ტრაადებს, მე ვიტი ასეთი სოფდის სახოგადოებები, სადაც სეგდეხი ეროდობაზე კანაჩენებიც კი შეადგინეს: „ჭერთამი ადარ გეკიდოთ, თორეს ამა ვარდითთ“. დეჩხეშეში ამ მხრივ სრული წესიერება იო და უბრალო სეეველურს თუ კიიგონებდით, ეს უთუოთ კედაბზეკა ახნაურის ან თავადისაკან: „ამარშალს რომ მოენდომებია, ჩემი შვილის მაკიერ ეიძახს ჯერეენებდა თავსო“.

. . . . . .

ეკანასკნელ წეოეაში ჭეშდეგდით სასიკედიდო სარეტედზე დაკებეულს მომჯადებედ-მომხიბდავი სახის მოხეეს, რომელიც სიტოტდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

† **ნინო აბაშიძის ასული**

კიბეთურის დრამ. წრის წევრი—სცენის მოყვარე, სცენაზე გამოვიდა 4წ-ს წინად.ერთგულად ემსახურებოდა და თვალსახინო ამაგიც დასდო. თავი მოიკლა 24 აგვის. სოფ. ჭალაში, რამაც აგული დასწყვიტა მის ამხანაგთ — სცენის მუშაკთ.

მისუსტებულის კი არა, საშინელი სასაოფო კაცდაძაბული გრძნობით ეთხოვებოდა და უკვე ენა დაკარგული საბედისწერო სიტყვა: „მშვიდობით“-ის მაგივრად ტკბილი სიყვარულიანი დიმილით ეთხოვებოდა თავისიანებს.

ავადმყოფს ეოველ დღე ნახულობდენ ქუთაისის გუბერნატორი ბ. ბოტულოვი, ეპისკოპოსი გიორგი, ბევრი ნაცნობ-მეგობარი, ხალხი და, სხვათა შორის, დეზსუმდენ კარკეტ საინახავად ნაშოსული კლუბეები.

სკოლოფლო ტაძარში გასსვენებულს გრძნობიერი სიტყვა უთხრა ეპისკოპოსმა გიორგომ, შემდეგ იგი ქუთაისიდან დეზსუმისკენ შორს გაცილა მთელმა ქუთაისის საზოგადოებამ, გუბერნატორისა და ეპისკოპოსის თანა დასწრებით. სოფლტა სიდგურ ნაშახვნამდე ცხედარს აჰყვა 40-ზე მეტი ეტლი გზა და გზა ს. მექვენაბს, ქორეხიბს, ტყიშს, ფერიშს, ოდბანს და ზეიდებს ცხედარს უზეკიდა ათასობით ხალხი და ეკედა გულდასუფაქული სტიროდა. სიმწუხაროდ მე ხელი არა მაქვს, არც ეინაობა ვიცი ზოგის, თორემ ზოგიერთების საეურადღებო სიტყვებსაც მოგიეანდი.

გასვენების დღეს სოფელ ახალკალაქს 4000 კაცზე მეტმა მოიყარა თავი და მწარე კვიეით დასასმარეს კაცი, რომელიც ჩვენში საერთოდ მნიშვნელოვანი ეოო და კერძოდ დეზსუმში-კი ეველაზე უფრო დიდი და უფრო კარგიც. აქეტ გრძნობიერი სიტყვებით გამოთხოვეს სტუდენტები ასათიანი, ბაბიანი, მეფდელი მარკიანი, ბეკეშის საზოგადოების კლუბების წარმომადგენელნი და სხ.

ნ—ელი

ავი თვალი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ 35—36)

სულიერად და ხორციელად დატანჯული რასულა თავისს სახლ-კარს მიადგა, თავისს ძველს ქოხს, სადაც თავისი ერთად-ერთი დაკოლშვილებული ვაეიშვილი ეგულებოდა. მაგრამ აქაც გასწირა ბედმა და აღარ აცალა სიამით დაელია სიცოცხლის დღენი. მისვლის დღეს რასულას ველარ ეცნო ერთი თავისი ზაქთაგანი, რომელიც ძალზე გასუქებულიყო და ეკითხა შვილისათვის:—ეს ვისი ზაქი შესულა ჩვენს საქონელში, რა მშვენიერია, ძალზე სუქანი და ფიცხიო. მეორე დღეს ზაქი მკვდარი ენახათ ბავში.

ეს ამბავი ელვასავით გავარდა მთელს სოფელში და შეაძრწუნა მრავალნი. ჯერ რასულას დაბრუნება სრულიად არ ეპიტნავა სოფელს და მერე გაიგეს თუ არა ზაქის ამბავი, ყველანი აიმრიზნენ და გაბოროტდენ. აღარ იცოდნენ რა ექნათ, როგორ მოეელოთ საქმესთვის. სოფელი ცრუმორწმუნეობის ქსელში გიეხვია და ცდილობდა რასულას ბრეკალებისაგან თავის დახსნას. რასულის სახლის ახლოს გამვლელი ცხენს და საქონელს წინდაწინვე ნეზვით ან ლოფით მისვრიდნენ, თუ რასაკვირელია საქონელი კარგი შესახედავი იყო და ისე გაატარებდნენ ხოლმე, რომ რასულას თვალი არ ეცა. სოფელში თანდათან მოუხშირეს რასულაზე ლაპარაკს, საკმა-

მორეზეგი

ალ. ივ. თვარელიძე

ოსმალეთის სახელოვანი დაზრდილი. წარდგენილია ჯიდლაზე—ანნა მეოთხე და სტანისლავა მესამე ხარისხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისი იყო მისი გავლა სოფელში, რომ მეორე დღესვე დაეწყოთ ლაპარაკი.

— ამა და ამა ცხენს, ხარს, კამეჩს, ბავშვს, რასულამ გუშინ თვალი სცა და მოკვდა ან ავად გახდა,—ერთი სიტყვით ვისაც კი რამე უბედურობა დაემართებოდა, რასულას ავ თვალს აწერდა.

ბევრი იწვრილეს, ბევრი იკითხეს სოფლელებმა რა უყოთ, რა ნაირად უშველოთ საქმესო და ბოლოს ერთმა სხვაგნით მოსულმა ჰაჯიმ ასე ასწავლა:—როცა პარასკევს დღეს რასულა მეჩეთში მოვიდეს, ნამაზის გათავების შემდეგ დაიჭირეთ და ყველამ სათითოთ ჩაფურთხევით პირში და შესძახეთ—შეგიცხვა ნამუსი და კაცობა შე ეშმაკის კერძოვო და ამის შემდეგ მის თვალს მნიშვნელობა და ძალა დაეკარგებაო.

პარასკევი დღეა. მეჩეთი პირამდის სავსეა ხალხით, ავი თვალის დასაგმობად დიდძალ ხალხს მოუყრია თავი. გათავდა ნამაზი. ხალხი მეჩეთდან ფეხს არ იცვლის, ავი თვალის პატრონს დაეძებს გაფაციცებით, მაგრამ იგი არსად სჩანს. მეზობლებმა სთქვეს რასულა გუშინა და დღეს არსადა სჩანდაო.

ტყუილად უცდიდა ხალხი, არც შემდეგ გამოჩენილა სადმე რასულა. ერთნი ამბობდნენ მექას წავიდა ცოდვების მოსანანიებლადო, საქმის ახლო მცოდნენი კი გაიძახოდნენ შორს სხვა სოფელში გადაიკარგა დროებითაო, რათა შერცხვენისა და შეურაცხყოფისაგან თავი ეხსნაო.

სოფელმა კი ჯერ-ჯერობით თავისუფლად ამოისუნთქა. **ზ. ედილი**

სიცოცხლე მსურდა

სიცოცხლე მსურდა წყნარადა,
გული კი არა სცხრებოდა,
ბნელ წყვდიადითა დაბურულს
მზის სხივი მენატრებოდა.
ბეღშავთ სიკეთის ძებნაში
ბასრი ეკლები მხვდებოდა,
მის გნით ნაკოდი წყლულისგან
სისხლი ღვართქაფად მსკდებოდა,
მე მაინც წინ მივიწევდი,
მუხლი არაფრით დრკებოდა,
მტერი მე მსჯიდა—მე მასა,
ბრძოლაში სული სტკბებოდა.
უკმეხობასა ვებრძოდი,
იგიც ფეხ და ფეხ მყვებოდა,
უმზერდი მოძმეს მონად ქმნილს,
გულსა ლახვარი მხვდებოდა.
იმათ შველასა ვლამობდი,
გული იმათთვის კვდებოდა,
ჩემი ყვირილი, ყიჟინი,
ცა და მწვასა სწვდებოდა.
სიკვდილსა გვანდა სიცოცხლე,
ფეხზე არავინ დგებოდა,
ვითარც სანთელი ცეცხლისგან,
ხორცი ჯავრისგან დნებოდა.
გულიც იმისთვის შეოთავდა,
შეოთავდა—აღარ ცხრებოდა:
ბოძოლის ქარცეცხლში დაქანცულს
მოსარჩლე მენატრებოდა...

გ. შინატეხელი

შეკითვა-პასუხი*)

ეშხის მადლმა

ბაქოს 1-ელ გიმნაზიიდან ი. ჯიმკარიანისაგან მომიდიდა შემდეგი შეკითხვა:

„ახლაცევმულო ბ-ნო მოსე, ბავშობისას გამიგონია იმერეთში სიტყვა „ეშხი“, „ეშხის მადლმა“. „ეშხს ვფიცავ“. შეიძლება ვეცადოდე. შარშან ამ ხასიათის სიტყვების გადაბმას წავაწყდი ერთ-ერთ ძველ ენაში. ძალიან მინდა გავიგო თქვენი აზრი ამ სიტყვის შესახებ. არის თუ არა ქართულ ენაში სიტყვა „ეშხი“, ეშხის ფიცი და თუ არის, რა დროის ნაშთია, აქვს თუ არა ფესვი ამ ფიცს უუძველეს ხალხის სჯულის რწმენაში. ვიცი, თქვენი შრომებიდან, რა სიყვარულით ეკიდებით ყოველნაირ ცოდნას და ამის გამო გავბედე თქვენი დაკითხვა“.

შეკითხვა ძალიან საყურადღებოა.

აქამდის მე ვიცოდი ფიცილი მზით (ზისმა)

*) ვბეჭდავთ ამ წერილს და ამასთანავე ვაცხადებთ, რომ თუ ვისმეს მოეპოვება ძნელად გასარკვევი ტერმინი, ცნება, შემოგვეკითხოს და თუ ჩვენ სათანადოთ ვერ განვმარტავთ. შეკითხვას მაინც დავბეჭდავთ შემდეგი თაობის საყურადღებოდ. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლით (წყლისმა), ცით (ცისმა), მარილით (მარილისმა), ხარის ქედით, ღვთით (ღმერთმა) სულით (სულისმა) და ახლა ამას ემატება ეშხისმაც, ეგების იოს კიდევ სხვა ფიქიდეებიც. ამგვარს ფიქიდებს ჩვენ კადვეკვეთრო ამ ოვალეწყდენელ დროში, როდესაც წერმართ ხადხებს და მათ შორის ქართველებსაც ღმერთებად მიაჩნდათ ითოქმის ყოველი ქმნილება ზესკნელისა და ქვესკნელისა (ნამისტერი ხანა).

ვერ ვიტყვი, რომ ეშხი იოს წმინდა ქართული სიტყვა. ყოველ შემთხვევაში ჩუბინაშვილს, ქართულ სიტყვების უხვად კაშარწყიდებელს სომეხთა, სპარსთა და არაბთა შორის, არ ადგენიშნავს, თუ ვის და ვის ეკუთვნის ჩვენი ეშხი. მაკრამ თუნდაც იგი სხვა ენებშიაც არსებობდეს მაინც ეს იმის მომასწავებლად არ ჩაითვლება, რომ იგი უსათუოთ ნასესხი დექსი იოს... ეგების მას ჭქონდეს ნათესაობა სიტყვებთან სხვი (ეხეთი), შუქი და ეშხიანი ნიშნავდეს სხიოსენს, ხადო ეშხი—სხიეს („ე" მოძრავია ჩვენს ენაში. შეადარე: ენა—მეგრ. ნინა, სვან. ნინ; კეკლი—მეგრ. კადეი, ეშეი-შეი (2 ნეშტ. 9, 21: „ნინეი სადმიონისი წარეიდა თარეშთ სუფლე ოქროოთ და ეერეცხდითა და შეეთა ბიდოჲსადთ.„ ის ნუსხები № 51 (შეა მეგრ. ეშეი-სა), № 570—შეი № 646 შეი).

ჭიმერიასი ამბობს ოდესეაში (XII, I), რომ ბერძნისანსენი მიეიდენენ ეუნძულ ეიას (ეოდხიდას), ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვებით რუსმა კიბეზე ჩამოაგორიალა ჩვენი ტოტია.

— Ну, и звѣри же эти кавказцы!

ამით გათავდა ტოტიას მოგზაურობა.

გუგული

ქართული სახიობა

სახალხო სახლში სახ. წარმოდგენების მმართველ წრეს თითქო აღთქმა დაუდვია, ხალხი მხოლოდ უცხო პიესებით ჰკვებოს და ხშირად ისეთი პიესებით, რომლებიც სახალხო სახლის მრევლის უმეტესობას ამთქნარებინებს. გასულ შაბათს დასდგეს „ვილჰელმ ჰენშელი" ალ. იმედაშვილის მონაწილეობით. რეჟისორ კ. შათირიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პიესამ საუცხოვოდ ჩაიარა. ალ. იმედაშვილის მიერ დიდის ოსტატობით გაპიროვნებული ჰენშელი საუცხოვო ხატებაა. დამსახურებული სცენის მოყვარე ნ. გოცირიძე აცინებდა მაყურებელთ, კარგადაც ასრულებდა თავის როლს, მაგრამ მისგან უფრო მეტს მოვითხოვთ. ბოლო სცენაში დრამატიზმის სიძლიერე თითქო ვერ შეეგნო და „ექიმი ხომ არ იქნება საჭირო" ისე სთქვა, თითქო —,,ეტლს ხომ არ ინებებთო''. პატივცემული მოღვაწე-მსახიობი ერთნაირობას უნდა ერიდოს, თორემ კარგი არ არის, როცა ყოველ როლში მხოლოდ „ჩვენს ნიკოსა" ვცნობთ. ელ. ციმაკურიძე (ანნა) რავდენათაც პირველ სამ მოქმედებაში იყო ბუნებრივი, იმდენად მოისუსტებდა უკანასკნელ სცენაში. პიერეტამ ცქრიალა და სიცოცხლით სრული, საუცხოვო სურათი შექმნა, მ. ჭიაურელი პატარა ებრაელის როლში უსიტყვოდ მეტყველებდა, ყოველი მისი მიმოხვრა, ღიმი, გამოხედვა — უმაღლესი მხატვრობა იყო, — მხოლოდ გამოთქმის, აქცენტის მთლიანობა ვერ დაიცვა, გ. ანაშვილი — იდეალური მეჯინიბე- ლოთია. გინდოდათ თვალმოუშორებლივ გეცქირნათ. ვ. ნინიძემაც სრული სახიერება გვიჩვენა. სამწუხაროდ პირველ მოქმედებას ვერ მივუსწარით და ვერაფერს ვიტყვით. წარმოდგენა გვიან გათავდა. კიდევ ერთხელ მოვაგონებთ სახ. თეატრის მესვეურთ, რომ მშრომელ ხალხს უფრო ადრე ჰმართებს სახლში დაბრუნება დასასვენებლად.

უსავანო.

სახალხო სახლის აშენება კარდენახში ჯერ ისევ 1912 წ. განიზრახეს. ამ მიზნით იმავე წელს გაიმართა პირველი წარმოდგენა („ბაიყუში"). სცენის მოყვარეთა უმრავლესობა თითქმის პირველად გამოვიდა სცენაზე და მათი მოღვაწეობაც ამ ხნიდან იწყება. პირველმა წარმოდგენამ საყურადღებოდ ჩაიარა და სცენის მოყვარეთ სახელი მოუხვეჭა, ამის შემდეგ ხშირად იმართებოდვა წარმოდგენა-საღამოები, მაგრამ სამკითხველოს დაქვეითების გამო, შეგროვილი ფული გადაეცემოდა ხოლმე სამკითხველოს გამგეობას, რომლის თაოსნობითაც შეძენილ იქმნა კარგა მოზრდილი ადგილი. სამკითხველოს უნუგეშო მდგომარეობამ თითქოს ჩაჰკლა სახალხო სახლის აშენების სურვილი.

ამა 1915 წ. გამართულ წარმოდგენის შემოსავალიც (69 მ.) სამკითხველოს გადაეცა, ამ წარმოდგენის შემდეგ სცენის მოყვარეთ ხელახლა აღეძრათ სურვილი სახალხო სახლის აშენებისა, წარმოდგენის გამართვაც განიზრახეს, მაგრამ რაკი პატივცემულ თინათინ ფორაქიშვილისამ გამართა „წარმოდგენა-საღამო" აჭარლების და ქართულ დამჭვარ თეატრის სასარგებლოდ სცენის მოყვარეთ თავისი განზრახვა შესცვალეს, და ქ-ნ თ. ფორაქიშვილისას სთხოვეს შემოსავლის ნაწილი კარდენახის სახალხო სახლის თანხად გ დადებულიყო ქ-ნ თ. ფორაქიშვილის დაუღალავმა შრომამ და უხვმა შემოწირულებამ „წარმოდგენა-საღამოს" შესძინა წმინდა შემოსავალი 330 მ. (რომელიც იშვიათია სოფლად) ხოლო ამის მესამედი — 108 მ. 40კ. სცენის მოყვარეთ გადაეცა სახალხო სახლის ასაგებ თანხად

ვიმედოვნებთ, რომ სახალხო სახლის აგების განზრახვა საქმედ იქცევა, მით უმეტეს, რომ წარმოდგენაზე დამსწრე მ.ახიობქალმა ქ-ნ ელო ანდრონიკაშვილმა სურვილი გამოსთქვა ამ საქმეს გაუძღვეს. და, იმედია, უანგარო შრომასაც მ იღებს თავის სამშობლო სოფლის საკეთილდღეოდ.

კარდენახელი

ს. ჭალასთავში 15 აგვ. ადგილობრივ სკოლის დარბაზში სტ. მიხეილ ტყავაძის მეთაურობით სცენის მოყვარეებმა უფასოდ წარმოადგინეს ა. ცაგარლის „ქართველი დედა". ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენის დაწყებამდე მ. ტყავაძემ ხალხს განუმარტა პიესის შინაარსი, თეატრის აღმზრდელობითი მნიშვნელობა და აგრეთვე ის, თუ სხვა ქვეყნებში როგორ ეპყრობიან ამ ხელოვნების უწმიდეს ტაძარს.

წარმოდგენამ ძალიან მწყობრად ჩაიარა. მონაწილეობდნენ: ს. კუპრაშვილი (მარინე), ა. კაპანაძე (ლეილა), ლ. ყიფიანი (ფატმან), ა. ხუჯაძე (უსუფ ფაშა), კ. პატარიძე (სულეიმან-ბეგ და ლუარსაბი), ელ. პატარიძე (ომარ-ხან), პ. ყიფიანი (პაპუა), მ. ტყავაძე (ვახტანგ), ს. ჭირაქაძე (ბეჟან) და გ. დარახველიძე (ქაიხოსრო) დიდი მადლობის ღირსია სტ. მ. ტყავაძე, რომელიც სოფლის გათვითცნობიერებისთვის არაფერს ზოგავს...

კუკური

დ. ყვირილაში ქართ მსახიობთა ამხანაგობის საზაფხულო სეზონი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ-ნი ვ. ურუშაძე, 23 აგვ. დასრულდა. ბ. ურუშაძის შრომის მოყვარეობით კვირაში სამ წარმოდგენა იდგმეოდა. ესწრებოდა უმთავრესად ინტელიგენცია და მოსწავლე ახალ-გაზრდობა. სამწუხაროდ ხელ-მისაწვდომი არ იყო დემოკრატიისათვის. ასეც იქნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ წარმოდგენები ადგილობრივ საკრებულო დარბაზში გაიმართება. სულ გაიმართა 17 წარმოდგენა, აქედან მხოლოდ რამდენიმე პიესა იყო ახალი; სამწუხაროდ ურუშაძემ გვერდი ვერ აუქცია ძველ „ისტორიულ“ და ფარსისებურ პიესებს, რომლებიც ჯერ ერთი ინტერესს მოკლებულია, და მეორეც ის არის უბედურება, რომ მათი („სამშობლო“ „და-ძმა“ და სხვ.) დადგმა პატარა სცენებზე პირ და პირ კარიკატურულ სახეს ღებულობს. ალბად ჩვენს მსახიობთ ეზარებათ, რომ ახალი პიესების დადგმას გაურბიან და ძველი პიესებით უმასპინძლდებიან საზოგადოებას.

ჩინებულად იყო დადგმული შემდეგი პიესები. „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ „პედაგოგები“, „საბედისწერო დამრნა“ „უდანაშაულოდ დასჯილნი“ „ზღვასთან“ და „ცა მბრელი“. ამხანაგობაში ირიცხებოდნ: ქნნი:- მარო ი მდივანნ, ღოღობერიძე, სცენის მოყვარე ქალი ხუნდაძე; ბ-ნი: ვ. არაბიძე, ვ. ბარველი, სანდალიძე, ვ. ურუშაძე, ალ. ყალაბეგიშვილი.

მონაწილეთა შესახებ არ გავაგრძელებთ სტატიას,— ყვირილის საზოგადოებისათვის ესენი საკმაოდ ცნობილნი არიან,—მხოლოდ რამოდენიმედ გვინდა ადვნშნოთ მ-ნ ალ. ყალაბეგიშვილის ხელოვნება. ათი-თორმეტი წელიწადია, ეს მსახიობი ჩვენს სცენაზე მუშაკობს. ამ ხნის განმავლობაში იგი საკმაოდ გაიზარდა ნიჭით და დღეს ნამდვილ რეალისტ მსახიობად მოგვევლინა.

ჩვენს სცენაზე მას განსაკუთრებული ალგი უჭირავს, როგორც ინტელიგენტ მსახიობს... ყალბეგიშვილის თამაშში მაყურებელი ხედავს არა წინ და წინვე მიმხადებულ აქტიორს, არამედ ადამიანის სულის იდუმალ მოძრაობის თან და თანობით ამხსნელ-განმმარტებელს. არც ერთი ყალბი ნაბიჯი, არც ერთი ზედმეტი ხელის ქნევა, ანუ სულიერი მოელვარების გაბმხატავი უთაავმოლო ხენეშა და ქშენა. ასეთ სიყალბეს რომ ვეღარ ეგუება დღევანდელი სცენა, სჩანს ეს ღრმათ აქვს შეგნებული პატივცემული მსახიობს. მხოლოდ ბ-ნ ყალბეგიშვილს ვურჩევდით ისტორიულ პიესებში ნუ იკისრებს ისეთი როლის თამაშს, რომლებიც ხელს შეუშლიან და ძალას დაატანენ მისი თამაშის ბუნებრივ სვლას.

ო. ბ.

სოფ. სართიჭალაში (გარე ეახეთი) 22 აგვ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წარმოდგენამ („ქალაში“ ივ. გომბრორლისა და „ადვაკატი მელაძე“ ივ. მაჩაბლისა) საშუალად ჩაიარა. მოისუსტებდა ქ-ნი რომანოვეცი. ხოლო ქ-ნთ დებს ბარძიმაშვილებს აკლდათ თვისუფალი მოძრაობ, ,ცარგი იყო ბ-ნი წიგნიკაძე (სარინო ,ოღიდნ შეაფერი ტანისამოსი არ ეცვა. სარინო სულ უკანასკნელი გლეხი და ასე მშვენივრად ჩაცმა ტაბურგას სიოლტლეში ვერ ეღირსებოდა ასეეე ითქმის შესახებ მწყემსისა, რომელსაც დაგლეჯილ ჩოხაზე პრიალა („ლაკირიოგანი“) წაღები ეცვა. უნდა ვიცოდეთ, რომ გრიმისა და ტანისამოსის შეუფერებლობა მსახიობის თამაშს ელფერს უკარგავს.

კარგი იყო ვოდეევილში ბ-ნი ი. თარალაშვილი, არა უშავდა რა სერგოს როლში ბ-ნს ბაღდადელს. ხალხი ნაკლებ დაესწრო, მიზეზი ადგილების სიძვირე იყო. მაყურებელთა შორის იყვნენ ადგილობრივნი გერმანელნი, რომელნიც დარბაისლურად ადევნებდნენ თვალ-ყურს ქართულ წარმოდგენას.

გოგლა პატარძეულელი

წვრილი ამგეგი

ქართ. დრამ. საზოგადოების კრებაზე 14 ენკენ. აირჩიეს ვ. ბაბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ნ. გ. ქართველიშვილი და გ. დ. ეურული ქალაქის მოურავთან და თბილისის თეატრთა გამგეებთან მოსალაპარაკებლად, რომ ქართულ დასს რამდენიმე დღე დაეთმოს წარმოდგენების სამართავად. ნ ქართველიშვილი უკვე იყო „სპარტ. საზ, თეატრის“ გამგეობასთან და კვირაში ერთი დღე გამოსთხოვა.

კარდენასხი საბალნო საბლის ასაშენებლად თანხის შედგენას შეუდგნენ.

ახალგაზრდა მგოსანმა კიკნა ფშაველამ დასწერა ახ ლი ლირიკული პოემა „ყამის ზღაპარი“. როგორც წამკითხველთ გადმოგვცეს, პოემა საყურადღებოა.

დ. ყვირილაში ქართ. მსახიობთა ამხანაგობის სეზონი დასრულდა.

ქართ. კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ მოაწყო საკუთარი ბინა კანცელარიითურ (საზოგადოების თავმჯდომარის გ. კორდანიასთან, სასამართლოს ქ. № 26). რადგან დ. კასრაძემ მოუელელობის გამო უარი სთქვა, მდივნად არჩეულ იქმნა „ახალი ქართლის“ ნარედაქტორალი დ. კარიკაშვილი, სამის მწარმოებელად—მგოლსანი გ. ჭეჩრშვილი. საზ-ბის ბინა საუცხოვოდაა მოწყობილი.

მოდავეთთა ამარაკის აშენება გადასწყვიტა ქართ. კულ. მოყვარულთა საზოგადო კრებამ 12 ენკენ. აგარაკი აშენდება წაღვეერში, ვაჟა-ფშაველას სახელზე. საქმის თაოსნობა მიეცდო მ. მურმანიშვილს.

ახალი პიესები დასწერეს 1) დ. კოპალმა „ორი სიკვდილი“, დრ. ეტ. 1 მოქ., 2) გრ. მაპავარიანმა—„ახალი მსხეერპლი“, დრ. 4 მოქ.; 3) ვასო ურუშაძემ—„მყუფრო ოჯაზში“, კომ. 1 მოქ.

„მთის ფშვილის ვაჟა-ფშაველას სიმღერები“ კრიტიკული განხილვა იპ. ვართაგავასი, რომელიც ამას წინად შემოკლებით დაბეჭდილი იყო „განათლებაზ“-ში და გასულ კვირას ქართ. კულტურის საზ-ს სხდომაზე წაიკითხა, ცალკე წიგნად იბეჭდება ქართ. კულტ. მოყვარეთა საზ-ის მიერ. წიგნის შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალი ქართველ მოღვაწეთა აგარკის აშენებას მოახმარდება.

◆ „ქართული სტამბის ისტორია“ (1627-1915), შედგ. ზ. ჯიკინაძის მიერ, იბეჭდება და მალე გასასყიდად გამოვა. წიგნში მოთავსებული იქნება ძველ ქართველ მოღვაწეთა 30-დე ისეთი სურათი: სოლომონ ლიონიძის, სოლ. დოდაშვილის, კიკნაძე ბერის, პატრონ ნიკოლასი და სხვ.

◆ ქუთაისის დრამ. საზ-ს და მსახიობთა ერთი ჯგუფის შეთანხმებით ქუთაისში შესცდა დასი, შალვა დადიანის რეჟისორობით. ქუთ. დრამ. საზოგადოებამ აღუთქვა თეატრის შეღებვითან ფასად დაქირავება, დეკორაციებისა და ტანისამოსებით მიწოდება, ხოლო ამ თვითვე ფულითაც დაეხმარა წინასწარ ხარჯებისათვის წარმოდგენები დაიწყება 1 ოქტ. რეპერტუარი უკვე შედგენილია, ამაში 21 პიესა ორიგინალურია.

◆ შალვა დადიანი თბილის ჩამოვიდა დასის შესადგენად.

◆ ქუთაისის დასში, სხვათა შორის, მიწვეულ ა ეფ. ვესხი, ა. შოთაძე, ს. ბეჟანიშვილი, პ. კორიშელი, ი. ზარდალიშვილი და სხ.

◆ ორიგინალური პიესები 1) მ. ბოჟორიშვილის „ენების ბრძოლაში“, 2) გრ. საქარიქიდელის „მოსე მწერალი“ და 3) გრ. ალაკელიას „ქრისტიანობის განთიადზე ანუ ადამიანი მხეცი“ შალვა დადიანს გადაეცა ქუთაისის სცენაზე დასადგმელად.

◆ ს. ა. ზაპარიაშვილი, სახალხო უნივერსიტეტის სექციის წევრად ნამყოფი და ნაამდგარი მუშა, გარდაიცვალა.

◆ ახალგაზდა მხატვრებს ალ. გრ. ციმაკურიძესა და ვ. სიდამონ-ერისთავს განუზრახავთ თბილისში მოაწყონ სამხატვრო სახელოსნო (სტუდია) მხატვრობის ცოდნის გასავრცელებლად. სწავლის ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენი იქნება.

◆ ქართ. ისტ. ნაწარმოებთა დასურათხატება განუზრახავს მხატვარს ალ. გ. ციმაკურიძეს.

◆ ხარფუხის კლუბში ვეტაფშაველას ხსოვნას აღსანიშნავად ამ მოკლე ხანში საღამო გაიმართება.

წერილი რედაქციის მიმართ

ქ-ნო რედაქტორ! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ ფურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს საშუალებით ნება გვიბოძოთ უდრეს მადლობა გაოუცხადოთ ქ-ნ თინათინ ფორაქაშვილისას და თ. გ. ყანჩაველს, რომელთაც სოფ. კარდენახში 5 აგვ. გაართულ ყარმოდგენა-საღამოს შემოსავლიდან კარდენახის სტენის შეფარეთა წერეს შემოსწერეს 108 მ. 40 კ. სახ. სახლის ასაგებად.

პატივისცემით სტენის მეფარეთა მონდობილი ნიკ. დარაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

Дозволено Военной Цензурой

Типографія „Сорапанъ“

ხარფუხის საზოგადო კლუბი

მახელილის პრ. № 131

საუცხოვო საზაფხულო როტონდით, სცენით და მშვენიერი, ელექტრონით განთებული ბაღით.

შაბათს 19 ენკენ. ქართული წარმოდგენა „პეკმა“ კ. ყიფიანის მონაწილეობით კვირა, 20 ენკ. სინემატოგრაფი, საზანდარი ორშაბ. 21 ენკ. საზანდარი. სინემატოგრაფი სამშ. 22 ენკ სინემატოგრაფი ორკ. ოთხშაბათს 23 ენკენ ქართული წარ. ხუთშ. 24 ენკ. სინემატოგ. ორკესტრი პარასკევს 25 ენკ. სინემატოგრაფი. საზან. შაბათს 26 ენკენ, თეორული ოპერეტა კვირას 2 ენკ. სინემატ. ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

შესავალი ფასი: მამაკაცნი იხდიან,—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი—$8^1/_2$ ს., სამაგშო საღამო—5.—9 ს.

ნოემბერში „ამრეკრას“
ახლად შეკეთებული, საუცხოოდ მოწყობილი, ელექტრონის სინათლით ნათელი, სუფთა.
ქალაქის შუაგულს, ვეორეულის ქუჩითან ნოემბერში ოთხი ამაზიდან. ნოემბერში სპეციალურ ცხელი და ცივი წყლით საბანაოებით (ლუქსი და ვანნა).
თბილისი. მიხეილის პრ. № 5. ტელეფ. 13—14 (Ა)

ᲐᲥᲗᲘᲐᲜᲘ
პროვიზორის ა. ს. ახალდელიანისა
(სამხედრო ქეჩის და ბოლოვინის პროსპექტის კუთხე)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲨᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲜᲔᲑᲐ

სტამბა „ᲘᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“